# გენომიქსი

ბიოსამედიცინო კვლევა და გენური დიაგნოსტიკა

"გენომიქსი უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ვალდებულების სრულყოფილად შესრულებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და პირობებით.

პაციენტი გენეტიკური კვლევების მოთხოვნის ელექტრონულად შევსებისას გვაწვდის პერსონალურ მონაცემებს, რომელიც შესაბამისი ფორმით ინახება ლაბორატორიის ელექტრონულ სისტემაში და დაცულია მაღალი სტანდარტებით.

პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ითვლება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებად, რომელიც ლაბორატორიაში ინახება პაციენტის სამედიცინო ისტორიისა და გენეტიკური კვლევების ჟურნალების წარმოების მიზნებისათვის. ამდენად, კანონით დადგენილი მიზნის გარდა, სხვა საფუძვლებით მისი გადაცემა არ ხდება სხვა პირებისათვის.

გენომიქსის მიერ პაციენტების მომსახურება ხდება გენეტიკური კვლევის მოთხოვნის ფორმის შევსების შემდეგ. ამავე ფორმაში წარმოდგენილია თანხმობის ფორმა, რომელიც შეიცავს პერსონალური მონაცემების კონკრეტული მიზნით დამუშავების შესახებ ნებართვას, ამდენად მონაცემების დამუშავება ხდება სათანადო წესით გაფორმებული თანხმობით, რომელსაც ხელს აწერს პაციენტი.

ლაბორატორიის დოკუმენტაციის მოწესრიგება ევალებათ კვალიფიციურ თანამშრომლებს, რომელიც აანალიზებენ პერსონალური მონაცემების დამუშავების სტანდარტებსა და მიზნებს და აქვთ სათანადო ცოდნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მნიშვნელოვანი რეგულირების თაობაზე.

პაციენტის მიერ ლაბორატორიისათვის მიწოდებული სხვა ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ზოგადად პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და რჩება ლაბორატორიის ფარგლებში.

GENOMICS Biomedical Research & Genetic diagnostics

გენომიქსი

ბიოსამედიცინო კვლევა და
გენური დიაგნოსტიკა

ლაბორატორიის ნებისმიერ თანამშრომელს გააჩნია პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

ლაბორატორია უზრუნველყოფს პაციენტების წინაშე ზემოაღნიშნული ვალდებულებების ჯეროვან შესრულებასა და პაციენტების პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების სრულყოფილ რეალიზებას."

GENOMICS Biomedical Research & Genetic diagnostics